ოქმი:**ო08. 3725029001**
თარიღი:**29/01/2025**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 28 იანვარი

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, დ. დარჩია, პ. სალუქვაძე, გ. შარაშენიძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის საკითხზე, ვრცლად კი ისაუბრა, თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს უძრავი ქონებებია სასოფლო ამბულატორიები რომლებიც სარგებლობის უფლებით გადეცემა ა(ა).ი.პ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ ორი წლის ვადით უზუფრუქტის წესით. კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ დასვა შეკითხვა-დარჩენილია თუ არა საექიმო ამბულატორია, რომელიც არაა გადაცემული? -უპასუხეს რომ არ არის დარჩენილი, ადრე გადაცემულებს ვადა უგრძელდება. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგის საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვა- დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი